MED EL

გაკვეთილების კრებული

07 ჩვენი სხეული



hearLIFE

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

გაკვეთილების გეგმა

პირველი დონე, მეორე დონე, მესამე დონე

1. სიმონი ამბობს

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

2. მოდი ვიმოძრაოთ

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

3. ლეიკო

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

თერაპევტის ჩანაწერები, რესურსები

რესურსების შესახებ მითითება: ზოგიერთ რესურსზე მოცემულია ინგლისურენოვანი ტექსტი. ასეთ შემთხვევაში, ჩვენ გთავაზობთ იმავე რესურსის დუბლიკატს ტექსტის გარეშე. შეარჩიეთ ის ვარიანტი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თქვენს მოთხოვნებს.

ჩვენ გვსურს, რომ ეს ნაკრები რაც შეიძლება მეტ ადამიანს დაეხმაროს, ამიტომ თემატური გაკვეთილის ნაკრები შეიძლება ღიად გაზიარდეს შესაბამისი გამოყენებისთვის. თუმცა, MED-EL ინარჩუნებს სრულ უფლებას მასალაზე, ამიტომ შინაარსი არ შეიძლება შეიცვალოს, რემარკირდეს ან გადაკეთდეს კომერციული გამოყენებისთვის.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

გაეცანით გაკვეთილების გეგმას

- აჩვენებს მოსმენის მიზნებს
- აჩვენებს სალაპარაკო ენის მიზნებს
- აჩვენებს შემეცნების უნარისა და გონების თეორიის მიზნებს

როგორ ავირჩიოთ დონე

პირველი დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ერთი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა ბავშვს ეძლევა მარტივი მოკლე წინადადებებით და გამოიყენება აკუსტიკური აქცენტირების ტექნიკა, რომლის საშუალებითაც ბავშვს შეუძლია აითვისოს ახალი ინფორმაცია.	ბავშვი იყენებს ცალკეულ სიტყვებს, აქვს 200-მდე სიტყვის მარაგი და შესაძლოა დაიწყოს ორსიტყვიანი კომბინაციის გამოყენება.	შემეცნების უნარი ნიშნავს იმას, თუ როგორ ვსწავლობთ, ვიძენთ ცოდნას და ვიგებთ ჩვენი სამყაროს შესახებ. გონების თეორია (ToM) არის აზროვნების უნარი, რომელსაც ჩვენ დროთა განმავლობაში ვანვითარებთ ჩვენი და სხვა ადამიანების ქცევის ახსნისა და პროგნოზირების მიზნით. შემეცნებისა და გონების თეორიის უნარები განვითარებადია. ისინი ბავშვის ზრდასთან ერთად ვითარდებიან, თუმცა ბევრ შემეცნებით, გონების თეორიისა და ენის უნარებს შორის ურთიერთკავშირი კომპექსურია, რომელთაგანაც თითოეული მათგანი, ბავშვის სიცოცხლის პირველ წლებში, რაღაც დონეზე ხელს უწყობს ერთმანეთის განვითარებას. პირველ დონეზე მყოფ მოზრდილ ბავშვებს შესაძლებელია უკვე ჰქონდეთ მეტი შემეცნებითი და გონების თეორიის უნარები და საკუთარი თავის გამოხატვისთვის უფრო მეტად ესაჭიროებოდეთ სალაპარაკო ენის ცოდნა. და პირიქით, მესამე დონეზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვები განვითარების კუთხით შესაძლებელია არ იყვნენ მზად გონების თეორიის ზოგიერთი მიზნის გააზრებისთვის.
მეორე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის ორი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია უფრო გრძელი წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში მოცემული ყველა ინფორმაცია.	ბავშვი წარმოთქვამს 2-3 სიტყვის კომბინაციას, აქვს 200-დან 2000-მდე სიტყვის მარაგი და იწყებს გრამატიკული მარკერების გამოყენებას.	
მესამე დონე	ბავშვი სწავლობს ინფორმაციის სამი ერთეულის მოსმენასა და ათვისებას. სალაპარაკო ენა წარმოდგენილია სხვადასხვა რთული წინადადებებით, ხოლო აკუსტიკური აქცენტირების მეთოდები გამოიყენება ბავშვის წასახალისებლად, რომ აითვისოს წინადადებაში არსებული გრამატიკული ელემენტები.	ბავშვი წარმოთქვამს 4-5 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს და შეკითხვებს, აქვს 2000-ზე მეტი სიტყვის მარაგი და იყენებს სხვადასხვა გრამატიკულ მარკერებს.	

თემა: დონე

თემები წარმოდგენილია როგორც მაკრო თემა (ფართო ზოგადი საკითხი, მაგალითად: ცხოველები), რომელსაც მოსდევს დაკავშირებული მიკრო თემა (ვიწრო დაკავშირებული ქვე-თემა), რათა დაეხმაროს ბავშვს, რომ ააწყოს კავშირები სიტყვებს შორის, რაც ამარტივებს სიტყვების დამახსოვრებას.

დაადოკუმენტირეთ ბავშვის რეაქცია გამოვლენის ან მიბაძვის შესახებ.

თითო გაკვეთილის გეგმას აქვს 4 აქტივობა

თითოეულ აქტივობას აქვს რესურსები, რომელიც უნდა ჩამოტვირთოთ და ამობეჭდოთ, ან თუ ელექტრონული სახით არის, შეინახეთ კომპიუტერში ან ტაბლეტში.

რესურსები ადვილად იძებნება ფაილის სახელწოდებით:
თემა - დონე (დ) აქტივობა (ა)
მაგალითად: ცხოველები - დ1 დ2 ა2 = საჭირო რესურსებია - ცხოველების თემა - პირველი დონე და მეორე დონე მეორე აქტივობა

ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

ააშენე სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სახლის ნაწილები • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან	• აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნებს: დაჭრა/ დაწებება/დაკეცვა	• ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს
ვინ არის სახლში? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა2	• ითვისებს ერთ საგანს: · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• იმეორებს ან აკეთებს ერთი სიტყვის აღნიშვნას; · ადამიანი · ადგილი · ზმნა	• ესმის "იგივეს" და "არ არის იგივე"მნიშვნელობა
სად უნდა იყოს? **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · საგანი · ადგილი	• კატეგორიების ფარგლებში აერთიანებს სიტყვებს; ნივთები სახლში/ ადგილები სახლში	• ესმის კავშირი საგანსა და ადგილს შორის
ჩემი სახლი **რესურსები** • ჩემი სახლი - დ1დ2 დ3 ა4	• ითვისებს ზმნებს: დაჭრა, დაკეცვა, დაჭერა, მიწოლა, დათვლა • ითვისებს წიგნს	• ცდილობს გაიმეოროს ერთი სიტყვა ყოველი გვერიდან	• უერთდება საუბარს საკუთარ სახლთან დაკავშირებით

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

თემა: დონე	ჩემი სახლი: პირველი დონე თერაპევტის ჩანაწერები
აქტივობის დასახელება	1. ააშენე სახლი
რისი გაკეთებაა საჭირო გაკვეთილის წინ	**მომზადება** ამობეჭდეთ რესურსი პატარა ბარათებზე. თქვენ აპირებთ მუყაოს ყუთისგან სახლის გაკეთებას.
ნაბიჯ - ნაბიჯ მთელი აქტივობის განმავლობაში	1. ამოჭერით ფანჯრები, ფარდები, კარები და საკვამური. (წაახალისეთ ბავშვი, რომ დაგეხმაროთ სადაც შესაძლებელია.) 2. შეხედეთ მუყაოს ყუთს და გადაწყვიტეთ, რომელი მხარე იქნება წინა. 3. გადაწყვიტეთ, ყვითელი თუ ცისფერი კარი იქნება წინა მხარეს და მიაწებეთ. 4. მიაწებეთ მეორე კარი უკანა მხარეს. 5. გამოიყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ კარის 3 მხარე ისე, რომ ისინი იხსნებოდეს. 6. მიაწებეთ თითო ფანჯარა ყველა მხარეს. 7. გამოყენეთ საკანცელარიო დანა, რომ გაჭრათ ყველა ფანჯარა შუაში, ზედა და ქვედა მხარეს ისე, რომ იხსნებოდეს. 8. მიაწებეთ ფარდები ყუთის შიგნით, ფანჯრის გახსნის ზედა მხარეს. 9. ააწყეთ საკვამური ნაკეცების რიგის მიხედვით, 1, 2, 3 და წებოთი შეკარით ძირი. 10. მიაწებეთ საკვამური ყუთის თავზე.
მიზანი გაკვეთილის გეგმიდან: უნარის მაგალითი	**მოსალოდნელი შედეგები** • ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სახლის ნაწილები: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური. • იგებს რამდენიმე თანდებულს: წინ/უკან.
მოსმენის ძირითადი სტრატეგია ან მეთოდი, რომელიც გამოიყენება ბავშვის მიზნის მისაღწევად.	**ძირითადი სტრატეგიები** ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ისაუბრეთ სახლის ნაწილებზე მათი დაჭრისას, ასევე როდესაც გადაწყვეტილებას იღებთ, თუ რომელი ნაწილი გააკეთოთ თავდაპირველად, როდესაც მათ აკრავთ და ბოლოს კიდევ ერთხელ, როდესაც აღფრთოვანდებით თქვენი დასრულებული სახლით. აკუსტიკური აქცენტირება: პირველ დონეზე მყოფ ბავშვისთან საუბრის დროს გამოყავით ინფორმაციის ერთი ერთეული. წარმოთქვით ეს ერთეული ოდნავ ხმამაღლა ან გააკეთეთ პაუზა საუბრის წინ. ჰმმ... ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ ეს ცისფერი კარი ... წინ. (შემოატრიალეთ ყუთი) ან შეიძლება დავაყენოთ ეს ცისფერი კარი... უკან.
	მოსალოდნელი შედეგები • იყენებს ზმნებს: დაჭრა/დაწებება/დაკეცვა. • აკეთებს სახლის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: კარი, ფანჯარა, ფარდა, საკვამური.
	ძირითადი სტრატეგიები ფიქრის იგივე ადგილი: როდესაც წაახალისებთ ბავშს, რომ შემოგიერთდეთ აწყობაში, დაუმატეთ ზმნებს აკუსტიკური აქცენტირებები, შეძლებისდაგვარად ჩასვით ზმნები წინადადების ბოლოში, რათა მისცეთ პირველი დონეზე მყოფ ბავშვს საშუალება, რომ აითვისოს და გაიმეოროს ის. ზუსტად აქ, ამ ხაზზე უნდა გაჭრა. გამოიყენე წებო, რომ დააწებო. გამოიყენეთ ვარიანტები: პასუხის ვარიანტებიან შეკითხვაში სახლის ნაწილების ლექსიკონის გამოყენება უყალიბებს ბავშვს ლექსიკონის მოდელს მათ უშუალო წამორთქვამდე. ეს უფრო ადვილია, ვიდრე უცნობი სიტყვების გახსენება. რა გავაკეთოთ ფანჯარა თუ კარი?
	მოსალოდნელი შედეგები • ესმის, რომ ადამიანები სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ სხვადასხვა საგნებს.
	ძირითადი სტრატეგია საბოტაჟი: დადგით ყუთი სხვა კუთხიდან ისე, რომ ბავშვის მშობელმა/აღმზრდელმა ვერ დაინახოს ნაწილი, რომელიც ეს ესაა დაწებეთ. წააქეზეთ მშობელი/აღმზრდელი თქვას, რომ ის ვერ ხედავს. ამით დაეხმარებით ბავშვს გააცნობიეროს, რომ ყველას არ აქვს წვდომა ერთ და იგივე ინფორმაციაზე. ოჰ, მე ვერ ვხედავ ფანჯარას. მინდა დავინახო ფანჯარა. შეგიძლია მაჩვენო ფანჯარა? მოატრიალე ყუთი, რომ დავინახო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2017

ჩვენი სხეული: პირველი დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

სიმონი ამბობს **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 ა1	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სხეულის ნაწილები • მიჰყვება მითითებებს კონტექსტში · შეეხე შენს...	• აკეთებს სხეულის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნას: შეხება	• იგებს მნიშვნელობას - • ნაცვალსახელები: შენი/ჩემი
მოდი ვიმოძრაოთ **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა2	• მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს ერთ ზმნას	• იძლევა მითითებებს, რომელიც შეიცავს ერთ ზმნას	• იღებს მონაწილეობას მონაცვლეობითი წესის სამოქმედო თამაშში
ლეიკო **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა3	• ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: · სხეულის ნაწილები • იგებს მნიშვნელობას: ტკენა (ან ნატკენი)	• წარმოთქვამს სხეულის ნაწილებს • ტკივილის დროს იყენებს სიტყვებს: ნატკენი/ტკივილი/ვაი	• აზიარებს ემოციებს, რომლებიც შეესაბამება ტკივილის მიყენებას და ნატკენის მკურნალობას
თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა4	• მიჰყვება მითითებებს კონტექსტში. • ასრულებს მოქმედებებს სიმღერაში	• ამბობს სიტყვებს სიმღერიდან	• ამთხვევს სურათს საკუთარი სხეულის ნაწილს

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩვენი სხეული: მეორე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

სიმონი ამბობს **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 ა1	• ახდენს ორი საგნის იდენტიფიცირებას: · სხეულის ნაწილები • მიჰყვება 2 ნაწილის მითითებებს, რომლებიც შეიცავს სიტყვა "და"-ს	• აკეთებს სხეულის ნაწილების აღნიშვნას • იყენებს ზმნას: შეხება • იყენებს კავშირს: და	• მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს
მოდი ვიმოძრაოთ **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა2 • ჩვენი სხეული დ2 დ3 ა2	• მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს ორ ზმნას	• იძლევა მითითებებს, რომელიც შეიცავს ორ ზმნას	• ესმის, რომ მოძრაობებს შეუძლია ემოციის გადმოცემა
ლეიკო **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა3	• იგებს ორნაწილიანი წინადადების აზრს • ესმის სიტყვის სინონიმები: მტკივნეული	• პასუხობს კითხვას წინადადების შესახებ • ადგენს მოკლე წინადადებას კითხვებიდან	• იყენებს სიტყვებს ემოციების გადმოსაცემად, რომლებიც გამოხატავენ ტკივილის მიყენებას და ნატკენის მკურნალობას
თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა4	• მიჰყვება თანდებულიანი ფრაზის შემცველ მითითებებს: უკან. • უერთდება სიტყვებს და ასრულებს მოქმედებებს სიმღერაში	• მღერის სიტყვებს სიმღერიდან • იყენებს მრავლობითი რიცხვის ზოგიერთ ფორმას • იყენებს კავშირს: და	• იგებს ზმნიზედების მნიშვნელობას: ნელა/ სწრაფად • მსჯელობს უპირატესობებზე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

ჩვენი სხეული: მესამე დონე გაკვეთილის გეგმა

MED EL

თარიღი: .....

სახელი: ..... ასაკი: ..... სმენის პერიოდი: .....

აქტივობა	მიზნები						
ექვსი ბგერა:	მარცხენა	ა	უ	ი	შ	ს	მ
	მარჯვენა	ა	უ	ი	შ	ს	მ

სიმონი ამბობს **რესურსები** • ჩვენი სხეული დ3 ა1	• ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: · სხეულის ნაწილები • მიჰყვება სამ ნაწილიან მითითებებს, რომლებიც შეიცავს სიტყვებს "და შემდეგ' • ესმის მოქმედებისათვის საჭირო პირობა (სიმონი ამბობს)	• იყენებს ფრაზას "სიმონი ამბობს..." • იძლევა სამ ნაწილიან მითითებებს	• ესმის მოტყუების განზრახვა, როგორც თამაშის მიზანი • სწორად გამოხატავს ემოციებს
მოდი ვიმოძრაოთ **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა2 • ჩვენი სხეული დ2 დ3 ა2 • ჩვენი სხეული დ3 ა2	• მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს სამ ზმნას	• იძლევა მითითებებს, რომელიც შეიცავს სამ ზმნას • იყენებს რიგობით რიცხვით სახელებს	• ემოციის გადმოსაცემად, მოძრაობებთან ერთად იყენებს სასაუბრო ენას
ლეიკო **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა3	• იგებს სამ ნაწილიან ისტორიას. • ესმის სიტყვის სინონიმები: მტკივნეული	• პასუხობს კითხვებს წინადადების შესახებ • ადგენს წინადადებას კითხვებიდან	• იყენებს წინადადებებს ემოციების გადმოსაცემად, რომლებიც გამოხატავენ ტკივილის მიყენებას და ნატკენის მკურნალობას
თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები **რესურსები** • ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა4	• მღერის სიმღერას და ასრულებს მოქმედებებს	• მღერის ყველა სიტყვას სიმღერიდან • იყენებს მრავლობით რიცხვს • იყენებს კავშირს: და	• იყენებს ზმნიზედებს: სიხარულით/ გაბრაზებით • შეუძლია ამოიცნოს გაბრაზებული და გახარებული ხმა.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. სიმონი ამბობს

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 ა1
- მაკრატელი

თქვენ რიგრიგობით სთხოვთ სხვებს, რომ მიჰყვნენ მითითებები და შეეხონ თავიანთი სხეულის ნაწილს.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით ბარათები.
2. ბარათების ამოჭრისას ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი სხეულის ნაწილია გამოსახული ბარათზე.
3. თითოეული ბარათისთვის თქვით "ჩემი" და "შენი", მაგალითად: "აი ჩემი მკლავი". "მაჩვენე შენი მკლავი".
4. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ გამოსახულებით ქვემოთ.
5. აიღეთ პირველი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე თქვით მითითება: “შეეხე შენს...”
6. როდესაც ყველამ შეასრულა მითითება, ეს ბარათი მიდის შეკვრაში გამოსახულებით ზემოთ.
7. შემდეგი ადამიანი იღებს ბარათს და იძლევა მითითებას.
8. გაიმეორეთ სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სხეულის ნაწილები: e.g. მკლავი, ყურები.
- მიჰყვება მითითებებს კონტექსტში; მაგალითად: შეეხე შენს ფეხს.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: ბარათის დამალვა მასზე საუბრისას, ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში. თუ ბავშვი ვერ ცნობს სხეულის ნაწილს, გამოიყენეთ აკუსტიკური სენდვიჩის მეთოდი; წარმოთქვით სხეულის ნაწილი, მიეცით ბავშვს ბარათზე შეხედვის საშუალება, შემდეგ კი კვლავ გაიმეორეთ სიტყვა.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: პირველ დონეზე მყოფი ბავშვი უსმენს ინფორმაციის ბოლო სიტყვას, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ მან მოისმინოს ეს სიტყვა კონტექსტში, ამიტომ სამიზნე სიტყვა ფრაზის ბოლოს გადაიტანეთ. შეგიძლია მკლავს შეეხო? მაჩვენე შენი ფეხი.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს სხეულის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: თვალები, ზურგი, მკლავი.
- იყენებს ზმნას; მაგალითად: შეხება, ჩვენება.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: პირველ დონეზე მყოფმა ბავშვმა შეიძლება ვერ შეძლოს ბარათზე გამოსახული სხეულის ნაწილის სპონტანურად მონიშვნა. მიაწოდეთ ბავშვს სამაგალითო ენის მოდელი და ჩურჩულით უკარნახეთ უთხრას თავის მშობელს/აღმზრდელს: შეეხე შენს ....ყურებს.

აკუსტიკური აქცენტირება: ამ მითითებაში ზმნა დასაწყისშია, ამიტომ პირველ დონეზე მყოფ ბავშვს გაუჭირდება მისი მოსმენა და გაგება. გამოყავით ზმნა პატარა აქცენტით და წარმოთქვით სიტყვა ‘შეეხე’ ცოტათი ნელა და ჩვეულებრივზე უფრო ხმამაღლა.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს მნიშვნელობას ნაცვალსახელები: ჩემი/შენი.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: ნაცვალსახელების "შენი" და "ჩემი" გაგება და გამოყენება მოითხოვს ხშირ გამეორებას კონტექსტში. გამოიყენეთ ეს სიტყვები ამ აქტივობის დროს რამდენჯერაც ეს შესაძლებელია; სანამ ჭრით ბარათებს, როდესაც იძლევით მითითებებს და მითითებების დროს აკომენტარებთ თქვენ მოქმედებებს. ჩემი ჯერია. მაჩვენე შენი თვალები. შენი ჯერია. აი ჩემი მკლავი. დედა, შეეხე შენს ფეხს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. სიმონი ამბობს

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 ა1
- მაკრატელი

თქვენ რიგრიგობით სთხოვთ სხვებს, რომ მიჰყვნენ მითითებები და შეეხონ თავიანთი სხეულის ნაწილს.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით ბარათები.
2. ბარათების ამოჭრისას ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი სხეულის ნაწილია გამოსახული ბარათზე.
3. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ პირველი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე თქვით მითითება: “სიმონი ამბობს შეეხე შენს …. და შენს …..”
5. როდესაც ყველამ შეასრულა მითითება, ეს ბარათი მიდის შეკვრაში გამოსახულებით ზემოთ.
6. შემდეგი ადამიანი იღებს ბარათს და იძლევა მითითებას.
7. გაიმეორეთ სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: სხეულის ნაწილები; მაგალითად: მკლავი და მუხლი.
- მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს სიტყვა "და".

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა სხეულის ნაწილებზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

სმენითი მეხსიერების შექმნა: ბავშვს, რომელიც გადადის მეორე საფეხურზე, შეიძლება გაუძნელდეს სხეულის ნაწილის პირველი დასახელებისთვის ყურადღების მიქცევა და დამახსოვრება. სხეულის ნაწილის მეორე დასახელების უპირატესობა იმაშია, რომ წინადადების ბოლოს არის და ამიტომ აკუსტიკურად არის ხაზგასმული. დაეხმარეთ ბავშვს ინფორმაციის ორივე ნაწილის ათვისებაში, ამისათვის სხეულის ნაწილის პირველი დასახელების წარმოთქმის წინ გააკეთეთ პაუზა, თქვით სიტყვა ცოტა ხმამაღლა და ნელა. შეეხე შენს …თვალებს … და იდაყვს.

მოსალოდნელი შედეგები

- აკეთებს სხეულის ნაწილების აღნიშვნას; მაგალითად: თვალები, შუბლი, მუხლი.
- იყენებს ზმნას: შეხება.
- იყენებს კავშირს: და.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: თუ ბავშვს არ შეუძლია სპონტანურად აღნიშნოს სხეულის ნაწილები, მიაწოდეთ ბავშვს სამაგალითო ენის მოდელი და ჩურჩულით უკარნახეთ უთხრას თავის მშობელს/ აღმზრდელს: სიმონი ამბობს …. შეეხე შენს მკლავს და შუბლს.

გამოიყენეთ ვარიანტები: ზოგიერთ სურათზე შეიძლება იყოს გამოსახული სხეულის ერთზე მეტი ნაწილი. შესთავაზეთ ბავშვს წინადადებების სტრუქტურისა და ლექსიკის მოდელის ალტერნატიული ვარიანტები: შეგიძლია თქვა - სიმონი ამბობს შეეხე შენს მკლავს და შენს ფეხს… ან სიმონი ამბობს შეეხე შენს მკლავს და შენს მუხლს.

მოსალოდნელი შედეგები

- მონაცვლეობით ასრულებს თამაშში სხვადასხვა როლს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობით თამაში მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. თითოეულ ჯერს დაამატეთ საუბარი, რათა დაეხმაროთ ბავშვს ისწავლოს წესები და ენა, რომლებიც საჭიროა მონაცვლეობითი წესის თამაშისთვის. დედიკოს ბარათის აღების ჯერია. ჩვენი ჯერია დაველოდოთ და მოვუსმინოთ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

1. სიმონი ამბობს

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ3 ა1
- მაკრატელი

თქვენ რიგრიგობით სთხოვთ სხვებს, რომ მიჰყვნენ მითითებები და შეეხონ თავიანთი სხეულის ნაწილს.

1. ბავშვთან ერთად ამოჭერით ბარათები.
2. ბარათების ამოჭრისას ისაუბრეთ იმაზე, თუ რომელი სხეულის ნაწილია გამოსახული ბარათზე.
3. აურიეთ ბარათები და დააწყვეთ გამოსახულებით ქვემოთ.
4. აიღეთ პირველი ბარათი და სურათის ჩვენების გარეშე თქვით მითითება: “სიმონი ამბობს შეეხე შენს …. და შენს …..და შემდეგ შენს …..”
5. როდესაც ყველამ შეასრულა მითითება, ეს ბარათი მიდის შეკვრაში გამოსახულებით ზემოთ.
6. აუხსენით, რომ თამაშის მონაწილეებმა უნდა შეასრულონ მხოლოდ ის მითითებები, რომლებიც იწყება ფრაზით ”სიმონი ამბობს...”
7. აიღეთ კიდევ ერთი ბარათი და გაეცით მითითება ისე, რომ არ თქვათ „სიმონ ამბობს ..."
8. შემდეგი ადამიანი იღებს ბარათს და იძლევა მითითებას, მათ შეუძლიათ აირჩიონ, თქვან თუ არა „სიმონ ამბობს“.
9. გაიმეორეთ სანამ ყველა ბარათი არ დამთავრდება.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს სამი საგნის იდენტიფიცირებას: სხეულის ნაწილები; მაგალითად: თვალები ,იდაყვი დატერფი.
- მიჰყვება სამ ნაწილიან მითითებებს, რომლებიც შეიცავს სიტყვებს და შემდეგ’.
- ესმის მოქმედებისათვის საჭირო პირობის აზრს: რომ უნდა მოისმინოს სიმონი ამბობს.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: სურათის დამალვა სხეულის ნაწილებზე საუბრისას ეხმარება ბავშვს აითვისოს აუდიტორული ინფორმაცია ვიზუალური ინფორმაციის (სურათი ან ჟესტი) გარეშე, რომელიც მეტ ყურადღებას იწვევს ბავშვის გონებაში.

საბოტაჟი: თუ ბავშვს არ უთამაშია "სიმონ ამბობს", "მოატყუეთ" - ასწავლეთ იმ მითითებების გაცემით, რომელიც არ დაიწყო ფრაზით "სიმონ ამბობს ..." რათა შეძლოთ ენის მოდელირება და შეცდომის დაშვება: უი არა! ჩვენ ორივე გავინძერით და არა მგონია დედამ თქვა - სიმონი ამბობს. მან მოგვატყუა.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს: "სიმონი ამბობს..."
- იძლევა სამ ნაწილიან მითითებებს; მაგალითად: შეეხე შენს ფეხს, შენსცხვირს და შემდეგ შენს მაჯას.

ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები: სცადეთ თამაშის დაწყება არა სტანდარტული ფრაზით "სიმონი ამბობს", არამედ მოიფიქრეთ ალტერნატივები ვარიანტებიანი კითხვებით, რათა დაეხმაროთ ბავშვს წინადადების საჭირო სტრუქტურის ფორმულირებაში და თამაშის მიზნის გაგებაში, სცადეთ სხვების მოტყუება. შეგიძლიათ თქვათ - "სიმონი ამბობს შეეხე შენს თვალებს, შენს იდაყვს, შემდეგ კი შენს ტერფს, ან თუ გინდათ დედის მოტყუება, შეგიძლიათ უბრალოდ თქვათ: შეეხეთ თვალებს, შენს იდაყვს, შემდეგ კი შენს ტერფს.

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის მოტყუების განზრახვა, როგორც თამაშის მიზანი.
- სწორად გამოხატავს ემოციებს.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მესამე დონეზე მყოფ ბავშვს აქვს მითითებების შესრულების დიდი პრაქტიკა, ამიტომ მას შეიძლება გაუჭირდეს ამ თამაშში მონაწილეობა, რაც მოითხოვს მითითებების შესრულებას მხოლოდ გარკვეული პირობების შემთხვევაში. უზრუნველყავით სასაუბრო ენის მოდელი, რომ მარტივად გაიგოთ პირობა: მე არ გამიგია, რომ ითქვას "სიმონი ამბობს", ამიტომ მე არ გავინძრევი. არ მინდა რომ მომატყუონ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სიმონი ამბობს



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სიმონი ამბობს



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სიმონი ამბობს



© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სიმონი ამბობს










© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სიმონი ამბობს










© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

1. სიმონი ამბობს










© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. მოდი ვიმოძრაოთ

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.
ამოჭერით შაბლონი.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა2
- მაკრატელი და წებოვანი ლენტი

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ კუბიკი და შემდეგ შეასრულოთ მოქმედებები.

1. ბავშვთან ერთად დაკეცეთ კუბიკის გვერდები.
2. ისაუბრეთ თითოეული მოქმედების სურათზე.
3. დაკეცეთ კუბიკის გვერდები, ააწყეთ იგი და დააწებეთ წებოვანი ლენტით.
4. ყველამ გადაინაცვლეთ სათამაშო სივრცეში და არ შეხედოთ მაგიდას.
5. ერთი ადამიანი ტრიალდება, აგორებს კუბიკს და ყველას ეუბნება, რა უნდა გააკეთონ.
6. მას შემდეგ, რაც ყველა შეასრულებს თავიანთ მოქმედებებს, კუბიკის გაგორების ჯერი გადაეცემა შემდეგ ადამიანს.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს ერთ ზმნას; მაგალითად: შეგიძლიაგაიქცე?

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა თითოეული მომზადების პროცესში. ამ აქტივობაში კუბიკის ფორმა საშუალებას გაძლევთ აღნიშნოთ ზმნა “დაკეცვა” და სხვა ზმნები, რომლებიც საჭიროა წებოვანი ლენტის ”დაკრობისთვის” და ”დასაწებებლად”.

ყურადღებით მოუსმინე: არ დაანახოთ ბავშვს კუბიკის გაგორება, რომ თავდაპირველად მან მარტო მოსმენით შეძლოს მითითებების გაგება. თუ შესაძლებელია, მიეცით მითითებები მოკლე წინადადებით ზმნის ბოლოში დართვით: ჩვენ უნდა გავიქცეთ.

აკუსტიკური აქცენტირება: გაუზარდეთ მინიშნებების რაოდენობა პირველ დონეზე მყოფ ბავშვს, ზმნა ოდნავ ხმამაღალმა წარმოთქვით, გამოიყენეთ ინტონაცია და მაღალსეგმენტიანი გამონათქვამები: ჩვენ უნდა გავაგოოოوو

ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები: დაეხმარეთ პირველ დონეზე მყოფ ბავშვს გასცეს მითითებები სხვებს, ორი ვარიანტის მიწოდებით. შეხედეთ კუბიკს და ისაუბრეთ ორ გვერდიგვერდ მყოფ სურათზე, რათა ბავშვმა საჭირო სიტყვები მოისმინოს, სანამ თვითონ ეცდება მათ წარმოთქმას: ჩვენ უნდა გავიქცეთ თუ ტაში დავუკრათ?

მოსალოდნელი შედეგები

- იღებს მონაწილეობას მონაცვლეობითი წესის სამოქმედო თამაშში.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მონაცვლეობითი წესის სწავლა მნიშვნელოვანი სოციალური უნარია. ისაუბრეთ ყოველი ადამიანის რიგის შეცვლისას, რათა ასწავლოთ ბავშვს ლაპარაკი მონაცვლეობით წესით თამაშის დროს. კარგი, ჩემი ჯერია. ჩემს შემდეგ ვინ არის? ოჰ, შენი ჯერი უნდა იყოს. ვინ არის შემდეგი? შემდეგი მამა უნდა იყოს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. მოდი ვიმოძრაოთ

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.
ამოჭერით კუბიკის შაბლონები.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა2
- ჩვენი სხეული დ2 დ3 ა2
- ჩვენი სხეული დ2 ა2 - ჯერ და მერე
- მაკრატელი და წებოვანი ლენტი

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ კუბიკი და შემდეგ შეასრულოთ მოქმედებები.

1. ბავშვთან ერთად დაკეცეთ კუბიკის გვერდები.
2. ისაუბრეთ თითოეული მოქმედების სურათზე.
3. დაკეცეთ კუბიკის გვერდები, ააწყეთ იგი და დააწებეთ წებოვანი ლენტით.
4. გადაინაცვლეთ იატაკზე არსებულ სათამაშო სივრცეში და განათავსეთ მაგიდაზე "ჯერ და მერე" გვერდი.
5. გატრიალდით და არ შეხედოთ მაგიდას.
6. ტრიალდება მხოლოდ ერთი ადამიანი, აგორევს კუბიკს და ათავსებს თითოეულს თითო ადგილზე "ჯერ და მერე" გვერდზე.
7. ეს ადამიანი ყველას ეუბნება, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, მაგალითად: ჯერ გაიქეცი და მერე გაცოცდი.
8. მას შემდეგ, რაც ყველა შეასრულებს თავიანთ მოქმედებებს, კუბიკის გაგორების ჯერი გადაეცემა შემდეგ ადამიანს.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს ორ ზმნას.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა თითოეული მომზადების პროცესში. ამ აქტივობაში კუბიკის ფორმა საშუალებას გაძლევთ აღნიშნოთ ზმნა დაკეცვა და სხვა ზმნები, რომლებიც საჭიროა წებოვანი ლენტის დაკრობისთვის და დასაწებებლად.

ყურადღებით მოუსმინე: არ დაანახოთ ბავშვს კუბიკის გაგორება, რომ თავდაპირველად მან მარტო მოსმენით შეძლოს მითითებების გაგება. მიეცით მითითებები პირველ ზმნაზე აკუსტიკური აქცენტირებით, რათა დაეხმაროთ ბავშვს ყურადღება მიაქციეთ ორ საჭირო მოქმედებას.

სმენითი მეხსიერების შექმნა: თუ აკუსტიკური აქცენტირება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბავშვმა გაიგოს ორი ზმნა, გამოიყენეთ აუდიტორული სენდვიჩის მეთოდი: მიეცით მითითება აკუსტიკური აქცენტირებით, აჩვენეთ ბავშვს ორი კუბიკი, შემდეგ ისევ მიეცით მითითება, ოღონდ მხოლოდ მოსმენით.

მოსალოდნელი შედეგები

- იძლევა მითითებებს, რომელიც შეიცავს ორ ზმნას.

ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები: დაეხმარეთ ბავშვს გასცეს მითითებები სხვებს, ორი ვარიანტის მიწოდებით. მას შემდეგ, რაც ბავშვი ორ კუბიკს გააგორებს, დაეხმარეთ მას გადაწყვიტოს რომელი იქნება პირველი, განათავსეთ ისინი "ჯერ და მერე" გვერდზე ალტერნატივების მოდელირებით: გინდა რომ ჩვენ ჯერ ხელი დაგიქნიოთ და მერე ავხტეთ, თუ ჯერ ავხტეთ და მერე ხელი დაგიქნიოთ?

მოსალოდნელი შედეგები

- ესმის, რომ მოძრაობებს შეუძლია ემოციის გადმოცემა.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: სხეულის მოძრაობა, ჯესტიკულაცია და მიმიკა გადმოსცემს მნიშვნელოვან ინფორმაციას ადამიანის ემოციური მდგომარეობის შესახებ. დაამატეთ სასაუბრო ენა და მოქმედებების დრამატიზება, რათა დაეხმაროთ ბავშვს ისწავლოს სხვისი ქცევების ახსნა: ოჰ, დამაგვიანდა. ჩვენ უნდა გავიქცეთ. ჩქარა. გავიქცეთ. უჰ, დავიღალე.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

2. მოდი ვიმოძრაოთ

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსები პატარა ბარათებზე.
ამოჭერით კუბიკის შაბლონები.

რესურსები

- ჩვენი სხეული d1 d2 d3 a2
- ჩვენი სხეული d2 d3 a2
- ჩვენი სხეული d3 a2
- ჩვენი სხეული d3 a2 პირველი, მეორე და მესამე მატი
- მაკრატელი და წებოვანი ლენტი ან წებო

თქვენ ერთად უნდა გააკეთოთ კუბიკი და შემდეგ შეასრულოთ მოქმედებები.

1. ბავშვთან ერთად დაკეცეთ კუბიკის გვერდები.
2. ისაუბრეთ თითოეული მოქმედების სურათზე.
3. დაკეცეთ კუბიკის გვერდები, ააწყეთ იგი და დააწებეთ წებოვანი ლენტით.
4. გადაინაცვლეთ იატაკზე არსებულ სათამაშო სივრცეში და განათავსეთ მაგიდაზე პირველი, მეორე და მესამე მატი.
5. გატრიალდით და არ შეხედოთ მაგიდას.
6. ტრიალდება მხოლოდ ერთი ადამიანი, აგორევს კუბიკს და ათავსებს თითოეულს თითო ადგილზე პირველ, მეორე და მესამე მატზე.
7. ეს ადამიანი ყველას ეუბნება, თუ რა უნდა გააკეთონ მათ, მაგალითად: ჯერ გაიქეცი და მერე გაცოცდი.
8. მას შემდეგ, რაც ყველა შეასრულებს თავიანთ მოქმედებებს, კუბიკის გაგორების ჯერი გადაეცემა შემდეგ ადამიანს.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მითითებებს, რომელიც შეიცავს სამ ზმნას.
- ესმის რიგობითი რიცხვითი სახელები: პირველი, მეორე, მესამე.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: მაქსიმალურად მიაღებინეთ ბავშვს მონაწილეობა თითოეული მომზადების პროცესში. ამ აქტივობაში კუბიკის ფორმა საშუალებას გაძლევთ იმსჯელოთ, როგორ ჯობია დაწებდეს გვერდები: ჩვენ შეგვიძლია წებოს გამოვიყენოთ, მაგრამ მან შეიძლება სწრაფად არ დააწებოს. თუ წებოვან ლენტს გამოვიყენებთ, ის სწრაფად დააწებებს.

ყურადღებით მოუსმინე: არ დაანახოთ ბავშვს კუბიკის გაგორება, რომ თავდაპირველად მან მარტო მოსმენით შეძლოს მითითებების გაგება. მიეცით მითითებები რიგობითი რიცხვითი სახელების აკუსტიკური აქცენტირებით, რომ ბავშვმა მოისმინოს შემდეგი ზმნა: პირველი - გადახდი, მეორე - გაცოცდი, მესამე - ხელი დააქნიე.

სმენითი მეხსიერების შექმნა: თუ აკუსტიკური აქცენტირება არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბავშვმა გაიგოს სამი ზმნა, გამოიყენეთ აუდიტორული სენდვიჩის მეთოდი: მიეცით მითითება აკუსტიკური აქცენტირებით, აჩვენეთ ბავშვს სამი კუბიკი, შემდეგ ისევ მიეცით მითითება, ოღონდ მხოლოდ მოსმენით.

მოსალოდნელი შედეგები

- იძლევა მითითებებს, რომელიც შეიცავს სამ ზმნას.
- იყენებს რიგობით რიცხვით სახელებს.

ძირითადი სტრატეგია

გამოიყენეთ ვარიანტები: დაეხმარეთ ბავშვს გასცეს მითითებები ვარიანტების შეთავაზებით და რიგობითი რიცხვითი სახელების გამოყენებით. მას შემდეგ, რაც ბავშვი გააგორებს სამ კუბიკს, დაეხმარეთ აირჩოს რომელი იქნება პირელი, მეორე, მესამე, მათი მატზე განთავსებით და ალტერნატიული ვარიანტების მოდელირებით; "შენ გინდა პირველი - ხელი დაგიქნიოთ, მეორე - გადავხტეთ და მესამე - ფეხები დავაბაკუნოთ, თუ პირველი - ხელი დაგიქნიოთ, მეორე - ფეხები დავაბაკუნოთ და მესამე - გადავხტეთ?

მოსალოდნელი შედეგები

- ემოციის გადმოსაცემად, მოძრაობებთან ერთად იყენებს სასაუბრო ენას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: სხეულის მოძრაობა, ჯესტიკულაცია და მიმიკა გადმოსცემს მნიშვნელოვან ინფორმაციას ადამიანის ემოციური მდგომარეობის შესახებ. დაამატეთ სასაუბრო ენა, რათა დაეხმაროთ ბავშვს ისწავლოს სხვისი ქცევების ახსნა. თავს ბედნიერად ვგრძნობ როდესაც ვცეკვავ. დედა გაბრაზებულად გამოიყურება როდესაც ფეხებს აბაკუნებს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. მოდი ვიმოძრაოთ

ტაშის დაკვრა

ქვემოდან დააწებე

გაქცევა

ცეცვიან ვიპაგცეგ

ხტუნვა

სიარული

ქვემოდან დააწებე

ახტომა

ცეცვიან ვიპაგცეგ

ქვემოდან დააწებე



გაგორება

ცეცვიან ვიპაგცეგ

ქვემოდან დააწებე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. მოდი ვიმოძრაოთ

ქვემოდან დააწებე

ᲪᲘᲪᲕᲘᲠᲨᲘ ᲕᲘᲨᲐᲒᲪᲘᲗ

ქვემოდან დააწებე

ᲪᲘᲪᲕᲘᲠᲨᲘ ᲕᲘᲨᲐᲒᲪᲘᲗ

ქვემოდან დააწებე



ᲪᲘᲪᲕᲘᲠᲨᲘ ᲕᲘᲨᲐᲒᲪᲘᲗ

ქვემოდან დააწებე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. მოდი ვიმოძრაოთ

ჯერ

და მერე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. მოდი ვიმოძრაოთ



მუხლებზე დაჯდომა

ქვემოდან დააწებე

ცოცვა

ᲪᲘᲪᲕᲘᲡ ᲕᲘᲡᲐᲓᲘᲡ



შეეხე შენს ფეხის თითებს

ხელის დაქნევა

გადახტომა

მუცელზე ხელის მოსმა

ᲪᲘᲪᲕᲘᲡ ᲕᲘᲡᲐᲓᲘᲡ

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. მოდი ვიმოძრაოთ



ქვემოდან დააწებე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

2. მოდი ვიმოძრაოთ

პირველი	მეორე	მესამე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. მოდი ვიმოძრაოთ

წონასწორობა

ქვემოდან დააწებე

ხელის აწევა

ᲪᲔᲙᲕᲐ

ᲪᲔᲙᲕᲐ



ფეხის დაბაკუნება

დაძინება

თავზე ხელის გადასმა

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

2. მოდი ვიმოძრაოთ

ქვემოდან დააწებე

ცეცვიდ ვიშაგცეგ



ქვემოდან დააწებე

ცეცვიდ ვიშაგცეგ

ქვემოდან დააწებე

ცეცვიდ ვიშაგცეგ

ქვემოდან დააწებე

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ლეიკო

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. ამოჭერით ლეიკო.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა3
- დიდი ზომის ფურცელი (საკმარისად დიდი ბავშვის ზედ დასაწოლად)
- მარკერი, მაკრატელი და წებო

თქვენ უნდა შემოხაზოთ ბავშვის სხეული ფურცელზე და დააწებოთ ზედ ლეიკო.

1. დააფინეთ ქაღალდი იატაკზე და სთხოვეთ ბავშვს დაწვეს ზედ სახით თქვენსკენ.
2. შემოხაზეთ ბავშვის გარშემო მარკერით და ხატვისას ისაუბრეთ სხეულის თითოეულ ნაწილზე.
3. სთხოვეთ ბავშვს ადგეს, მიეცით მას ხელში მარკერი, ახლა მას შეუძლია დახატოს თვალები, ცხვირი და პირი.
4. აუხსენით, რომ აპირებთ ლეიკოს დაწებებას.
5. მორიგეობით გადაწყვიტეთ სად შეიძლება დაწებდეს ლეიკო ან გამოიყენეთ სხეულის ნაწილების ბარათები პირველი აქტივობიდან, რათა გადაწყვიტოთ სად უნდა დააწებოთ ლეიკო.

მოსალოდნელი შედეგები

- ახდენს ერთი საგნის იდენტიფიცირებას: სხეულის ნაწილებით; მაგალითად: თითი, ფეხის თითი, მუხლი.
- იგებს მნიშვნელობას: ტკენა/ნატკენი.

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: იმისათვის, რომ ბავშვის ტვინის აუდიტორულმა ცენტრმა მიიღოს ინფორმაცია მხედველობის ცენტრზე ადრე, ისაუბრეთ სხეულის ნაწილზე ჟესტიკულაციამდე, აღნიშვნამდე და ლეიკოს დაწებებამდე.

სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები: გამოიყენეთ სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვები, სანამ აწებებთ ლეიკოს, რომ ბავშვმა ყურადღება მიაქციოს იმ სიტყვებს, რომლებსაც პატარა ბავშვები იყენებენ ტრავმის დროს: აუუ. მეტკინა. ფუა ფუა.

მოსალოდნელი შედეგები

- წარმოთქვამს სხეულის ნაწილებს; მაგალითად: თითი, ფეხის თითი, მუხლი.
- ტკივილის დროს იყენებს სიტყვებს: ნატკენი/ტკივილი/ვაი

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: თუ ბავშვს არ შეუძლია სპონტანურად აღნიშნოს სხეული ნაწილი ან ვერ იღებს გადაწყვეტილებას, სხეულის რომელ ნაწილზე დააწებოს ლეიკო, შესთავაზეთ ვარიანტები. დაასახელეთ ის, რომელსაც ფიქრობთ რომ ბავშვი ყველაზე ბოლოს გამოიყენებს. შენ გინდა დაიწებო ლეიკო შენს ფეხზე თუ შენს მკლავზე?

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ: მიიქციეთ ბავშვის ყურადღება სმენითი ყურადღების მიმპყრობი სიტყვებით: აუუ! და ხელში გეჭიროთ ლეიკო, სანამ ელოდებით ბავშვის ამ სიტყვების კოპირების მცდელობას.

გავრცობა და განგრძობა: მას შემდეგ, რაც ბავშვი შეეცდება წარმოთქვას ერთ-ერთი ასეთი სიტყვა, მაგალითად "ვიტკინე", განავრცეთ ნათქვამიოჰ ძვირფასო, შენ მკლავი იტკინე . შენ მკლავზე ნატკენი გაქვს.

მოსალოდნელი შედეგები

- აზიარებს ემოციებს, რომლებიც შეესაბამება ტკივილის მიყენებას და ნატკენის მკურნალობას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს და გამოიყენოს ისეთი ფრაზა, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ემოციებს, როდესაც ბავშვები რაიმეს იტკენს. ეს დაეხმარება ბავშვს გააცნობიეროს საკუთარი ემოციები და ასევე განავითაროს უფრო მგრძნობიარე ემოციური რეაგირების უნარი, როდესაც ვინმე იტკენს თავს. ოჰ ძვირფასო, შენ მოწყენილი ხარ. როგორც ჩანს ძალიან გეტკინა. ჩემო საწყალო.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ლეიკო

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. ამოჭერით ლეიკო.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა3
- დიდი ზომის ფურცელი (საკმარისად დიდი ბავშვის ზედ დასაწოლად)
- მარკერი, მაკრატელი და წებო

თქვენ უნდა შემოხაზოთ ბავშვის სხეული ფურცელზე და დააწებოთ ზედ ლეიკო.

1. დააფინეთ ქაღალდი იატაკზე და სთხოვეთ ბავშვს დაწვეს ზედ სახით თქვენსკენ.
2. შემოხაზეთ ბავშვის გარშემო მარკერით და ხატვისას ისაუბრეთ სხეულის თითოეულ ნაწილზე.
3. სთხოვეთ ბავშვს ადგეს, მიეცით მას ხელში მარკერი, ახლა მას შეუძლია დახატოს თვალები, ცხვირი და პირი.
4. აუხსენით, რომ აპირებთ ლეიკოს დაწებებას.
5. მორიგეობით გადაწყვიტეთ სად შეიძლება დაწებდეს ლეიკო და დაამატეთ წინადადება, რომ ახსნათ, რისთვის არის საჭირო ლეიკო.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს ორნაწილიანი წინადადების აზრს.
- ესმის სიტყვის სინონიმები: მტკივნეული

ძირითადი სტრატეგიები

ყურადღებით მოუსმინე: იმისათვის, რომ ბავშვის ტვინის აუდიტორულმა ცენტრმა მიიღოს ინფორმაცია მხედველობის ცენტრზე ადრე, ლეიკოს დაწებებამდე ისაუბრეთ სხეულის ნაწილზე.

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაამატეთ მეტი ინფორმაცია, რომ შექმნათ პატარა ისტორია იმის შესახებ, თუ რატომ არის საჭირო ლეიკო. დაუმატეთ ისტორიას ზედმეტი ინფორმაცია, რომ ბავშვმა ივარჯიშოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსმენაში. ზედმეტი ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც ნამდვილად არ სჭირდება ბავშვს სხეულის ნაწილებზე ლეიკოს დასაკრობად. იქნებ თავი საწოლს მიარტყი და მაგიტომ გჭირდება ლეიკო.

გავრცობა და განგრძობა: ნატკენის აღსაწერად გამოიყენეთ სხვადასხვა ზმნები:გაჭრა, დაჯახება, დაკაწვრა, დაუეუვა.

მოსალოდნელი შედეგები

- პასუხობს კითხვას წინადადების შესახებ.
- ადგენს მოკლე წინადადებას კითხვებიდან.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: მას შემდეგ, რაც მოიფიქრეთ და შეადგინეთ ტრავმის გაჩენის შესახებ ორ ნაწილიანი წინადადება, გადაამოწმეთ გაიგო თუ არა ბავშვმა 2 კითხვის დასმით; სად გჭირდება ლეიკოს დაკრობა? და რა მოხდა? თუ ბავშვს უჭირს შეკითხვებზე პასუხის გაცემა, გაიმეორეთ წინადადება და სთხოვეთ მშობელს/აღმზრდელს ვარიანტებიანი შეკითხვებით მოახდინოს პასუხების მოდელირება. ჩვენ ლეიკოს მკლავზე დავაკრობთ თუ თავზე? შენ თავი გაიჭერი და თუ თავი დაარტყი?

გავრცობა და განგრძობა: როდესაც მოვა ბავშვის ჯერი, წაახალისეთ რომ მოიფიქროს საკუთარი წინადადება და გადაწყვიტოს სად დაიკროს ლეიკო. დაამატეთ მეტი ინფორმაცია ბავშვის მონაყოლში, მაგალითად ჰკითხეთ, რატომ სჭირდება მას ლეიკო. შენ მუხლზე დასაკრობად ლეიკო გჭირდება იმიტომ, რომ დაეცი?

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს სიტყვებს ემოციების გადმოსაცემად, რომლებიც გამოხატავენ ტკივილის მიყენებას და ნატკენის მკურნალობას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს და გამოიყენოს ისეთი ფრაზა, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ემოციებს, როდესაც ბავშვები რაიმეს იტკენს. ოჰ ძვირფასო, შენ მოწყენილი ხარ. როგორც ჩანს ძალიან გეტკინა. ჩემო საწყალო. შენ ახლა ლეიკო გაქვს დაკრული. ასე ჯობია. ეს დაეხმარება ბავშვს გააცნობიეროს საკუთარი ემოციები და ასევე განავითაროს უფრო მგრძნობიარე ემოციური რეაგირების უნარი, როდესაც ვინმე იტკენს თავს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

3. ლეიკო

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე. ამოჭერით ლეიკო.

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა3
- დიდი ზომის ფურცელი (საკმარისად დიდი ბავშვის ზედ დასაწოლად)
- მარკერი, მაკრატელი და წებო

თქვენ უნდა შემოხაზოთ ბავშვის სხეული ფურცელზე და დააწებოთ ზედ ლეიკო.

1. დააფინეთ ქაღალდი იატაკზე და სთხოვეთ ბავშვს დაწვეს ზედ სახით თქვენსკენ.
2. შემოხაზეთ ბავშვის გარშემო მარკერით და ხატვისას ისაუბრეთ სხეულის თითოეულ ნაწილზე.
3. სთხოვეთ ბავშვს ადგეს, მიეცით მას ხელში მარკერი, ახლა მას შეუძლია დახატოს თვალები, ცხვირი და პირი.
4. აუხსენით, რომ აპირებთ ლეიკოს დაწებებას.
5. მორიგეობით გადაწყვიტეთ სად შეიძლება დაწებდეს ლეიკო და დაამატეთ წინადადება, რომ ახსნათ, რისთვის არის საჭირო ლეიკო.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს სამ ნაწილიან ისტორიას.
- ესმის სიტყვის სინონიმები: მტკივნეული

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე:შექმენით პატარა ისტორია იმის შესახებ, თუ რატომ არის საჭირო ლეიკო. დაუმატეთ ისტორიას ზედმეტი ინფორმაცია, რომ ბავშვმა ივარჯიშოს მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოსმენაში. ზედმეტი ინფორმაცია არის ინფორმაცია, რომელიც ნამდვილად არ სჭირდება ბავშვს სხეულის ნაწილებზე ლეიკოს დასაკრობად: როდესაც ველოსიპედით დადიოდი ხეს დაეჯახე, დაეცი და იდაყვი გაიკაწრე.

გავრცობა და განგრძობა: ნატკენის აღსაწერად გამოიყენეთ სხვადასხვა ზმნები:გაჭრა, დაჯახება, დაკაწვრა, დაჟეჟვა.

მოსალოდნელი შედეგები

- პასუხობს კითხვას წინადადების შესახებ.
- ადგენს მოკლე წინადადებას კითხვებიდან.

ძირითადი სტრატეგიები

გამოიყენეთ ვარიანტები: მას შემდეგ, რაც მოიფიქრეთ და მოყევით ტრავმის გაჩენის შესახებ მოკლე ისტორია, გადაამოწმეთ გაიგო თუ არა ბავშვმა 2 კითხვის დასმით;სად გჭირდება ლეიკოს დაკრობა? და რა მოხდა? თუ ბავშვს უჭირს შეკითხვებზე პასუხის გაცემა, გაიმეორეთ წინადადება და სთხოვეთ მშობელს/ აღმზრდელს ვარიანტებიანი შეკითხვებით მოახდინოს პასუხების მოდელირება. ჩვენ ლეიკოს მუხლზე დავაკრობთ თუ იდაყვზე? შენ იდაყვზე ნაკაწრი გაქვთ თუ იდაყვი დაჟეჟილი გაქვთ?

გავრცობა და განგრძობა: როდესაც მოვა ბავშვის ჯერი, წაახალისეთ რომ მოიფიქროს საკუთარი ისტორია და გადაწყვიტოს სად დაიკროს ლეიკო. დაამატეთ მეტი ინფორმაცია ბავშვის მონაყოლში, მაგალითად ჰკითხეთ, რატომ სჭირდება მას ლეიკო. შენ მუხლზე დასაკრობად ლეიკო გჭირდება იმის გამო, რომ სირბილის დროს დაეცი?

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს წინადადებებს ემოციების გადმოსაცემად, რომლებიც გამოხატავენ ტკივილის მიყენებას და ნატკენის მკურნალობას.

ძირითადი სტრატეგია

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: დაეხმარეთ ბავშვს გაიგოს და გამოიყენოს ისეთი ფრაზა, რომელიც ჩვეულებრივ თან ახლავს ემოციებს, როდესაც ბავშვები რაიმეს იტკენს. ოჰ ძვირფასო, შენ მოწყენილი ხარ. როგორც ჩანს ძალიან გეტკინა. ჩემო საწყალო. შენ ახლა ლეიკო გაქვს დაკრული. ასე ჯობია. ეს დაეხმარება ბავშვს გააცნობიეროს საკუთარი ემოციები და ასევე განავითაროს უფრო მგრძნობიარე ემოციური რეაგირების უნარი, როდესაც ვინმე იტკენს თავს.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

3. ლეიკო

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.
თუ სიმღერა არ იცით, მოუსმინეთ YouTube-ზე "თავი მხრები მუხლები და ფეხის თითები" (ინგლისურად “Head shoulders knees and toes“)

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა4

თქვენ უნდა გააკეთოთ სიმღერების წიგნი და იმღეროთ სიმღერა “თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები” (ინგლისურად “Head shoulders knees and toes“).

1. გაჭერით გვერდები ოთხად და შეკარით ოთხი დასტა.
2. აიღეთ სათაურის გვერდი და წარმოთქვით სურათებზე გამოსახული თითოეული სხეულის ნაწილი.
3. აიღეთ პირველი გვერდი, "თავი" და განათავსეთ იგი სათაურის გვერდის ქვეშ.
4. განაგრძეთ გვერდების აწყობა სხეულის შემდეგი ნაწილის დასტის ბოლოში განთავსებით.
5. დაასრულეთ წიგნის აწყობა და დაამატეთ ბოლოში გვერდი, სადაც წერია „დასასრული“.
6. დაასტეპლერეთ წიგნი და შემდეგ იმღერეთ სიმღერა.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება მითითებებს კონტექსტში: მაგალითად დადე ქვეშ.
- ასრულებს მოქმედებებს სიმღერაში: მაგალითად ეხება თავს.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წიგნის აწყობისას ისაუბრეთ ამ სიმღერის თითოეული გვერდის შესახებ და დასტის აწევისას სთხოვეთ ბავშვს "დადე ეს ქვეშ". წიგნის აწყობის პროცესში, ბავშვი მოისმენს ფრაზას "დადე ეს ქვეშ" 23-ჯერ!

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: ამ გაკვეთილის განმავლობაში ბავშვი ბევრჯერ მოისმენს სხეულის ნაწილების გამეორებას. ეს სიმღერა გაძლევთ საშუალებას გააერთიანოთ ეს სიტყვები მელოდიასთან და ისარგებლონ ბუნებრივი აკუსტიკური აქცენტირებით ბგერის სიმაღლისა და ძლიერი რიტმის ცვლილების საშუალებით, რათა გაუადვილოთ ბავშვს ამ სიტყვების გაგება და დამახსოვრება.

მოსალოდნელი შედეგები

- მღერის რამდენიმე სიტყვას სიმღერიდან.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: მიეცით ბავშვს სიმღერის ტექსტის მოდელირების საშუალება. იმღერეთ სიმღერის თითოეული გვერდი ბგერის სიმაღლის შენარჩუნებით იმისათვის, რომ ბავშვმა სცადოს და შეადაროს თავიანთი ჟღერადობა თქვენსას.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ:იმღერეთ თითოეულ გვერდზე და სანამ შემდეგ გვერდზე გადახვალთ, დაელოდეთ ბავშვის წამღერებას.

მოსალოდნელი შედეგები

- ამთხვევს სურათს საკუთარი სხეულის ნაწილს.

ძირითადი სტრატეგია

ფიქრის იგივე ადგილი: ამ სიმღერების წიგნის თითოეულ გვერდზე მოცემულია სხეულის ნაწილის და მასთან დაკავშირებული მოქმედების გამოსახულება. აჩვენეთ, როგორ უნდა შეასრულოს ეს მოქმედებები და გამოიყენეთ ფიქრის იგივე ადგილი, რათა მიაწოდოთ ფრაზები იმაზე, რაზეც ფიქრობენ.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.
თუ სიმღერა არ იცით, მოუსმინეთ YouTube-ზე "თავი მხრები მუხლები და ფეხის თითები" (ინგლისურად “Head shoulders knees and toes“)

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა4

თქვენ უნდა გააკეთოთ სიმღერების წიგნი და იმღეროთ სიმღერა “თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები” (ინგლისურად “Head shoulders knees and toes“).

1. გაჭერით გვერდები ოთხად და შეკარით ოთხი დასტა.
2. აიღეთ სათაურის გვერდი და წარმოთქვით სურათებზე გამოსახული თითოეული სხეულის ნაწილი.
3. აიღეთ პირველი გვერდი, "თავი" და განათავსეთ იგი სათაურის გვერდის ქვეშ.
4. განაგრძეთ გვერდების აწყობა სხეულის შემდეგი ნაწილის დასტის ბოლოში განთავსებით.
5. დაასრულეთ წიგნის აწყობა და დაამატეთ ბოლოში გვერდი, სადაც წერია „დასასრული“.
6. დაასტეპლერეთ წიგნი და შემდეგ იმღერეთ სიმღერა.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება თანდებულიანი ფრაზის შემცველ მითითებებს: უკან.
- უერთდება სიტყვებს და ასრულებს მოქმედებებს სიმღერაში.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წიგნის აწყობისას ისაუბრეთ ამ სიმღერის თითოეული გვერდის შესახებ და დასტის აწევისას სთხოვეთ ბავშვს "დადე უკან". წიგნის აწყობის პროცესში, ბავშვი მოისმენს ფრაზას "დადე უკან" 23-ჯერ!

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: ეს სიმღერა ბავშვს საშუალებას აძლევს გამოავლინონ სიმღერის სიტყვების გააზრების უნარი. მას შემდეგ, რაც ერთხელ იმღერეთ სიმღერა, გადადეთ სიმღერების წიგნი გვერდზე და კვლავ იმღერეთ სიმღერა. უკარნახეთ ბავშვს სიტყვები და მოქმედებები.

მოსალოდნელი შედეგები

- მღერის სიტყვებს სიმღერიდან.
- იყენებს მრავლობითი რიცხვის ფორმას; მაგალითად: თვალები, მუხლები.
- იყენებს კავშირს: და.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: მიეცით ბავშვს სიმღერის ტექსტის კოპირების საშუალება. იმღერეთ სიმღერის თითოეული გვერდი ბგერის სიმაღლის შენარჩუნებით იმისათვის, რომ ბავშვმა სცადოს და შეადაროს თავიანთი ჟღერადობა თქვენსას.

აკუსტიკური აქცენტირება: გააგრძელეთ მრავლობითი რიცხვის მარკერი ბგერის სიმაღლის შენარჩუნებით, რათა გაუადვილოთ ბავშვს მრავლობითი რიცხვის მოსმენა და ყურადღების მიქცევა:მხრები, მუხლები, ფეხის თითები, თვალები, ყურები.

დაიცადეთ, დაიცადეთ და კიდევ ცოტა დაიცადეთ:იმღერეთ თითოეულ გვერდზე და სანამ შემდეგ გვერდზე გადახვალთ, დაელოდეთ ბავშვის მიერ სიტყვის ან სიტყვების წარმოთქმას.

მოსალოდნელი შედეგები

- იგებს ზმნიზედების მნიშვნელობას: ნელა/სწრაფად.
- მსჯელობს უპირატესობებზე.

ძირითადი სტრატეგია

გავრცობა და განგრძობა: განაგრძეთ აქტივობა სიმღერის გამეორებით და ზმნიზედის დამატებით. მოდი კიდევ ერთხელ ნელა ვიმღეროთ. მოდი ახლა კიდევ ერთხელ სწრაფად ვიმღეროთ . მიაწოდეთსურვილების გაზიარების მოდელები. მე მომწონს სწრაფადსიმღერა. შენ მოგწონს ნელა თუ სწრაფად სიმღერა?

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

აქტივობა

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

მომზადება

ამობეჭდეთ რესურსი ქაღალდზე.
თუ სიმღერა არ იცით, მოუსმინეთ YouTube-ზე "თავი მხრები მუხლები და ფეხის თითები" (ინგლისურად “Head shoulders knees and toes“)

რესურსები

- ჩვენი სხეული დ1 დ2 დ3 ა4
- სტეპლერი

თქვენ უნდა გააკეთოთ სიმღერების წიგნი და იმღეროთ სიმღერა “თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები” (ინგლისურად “Head shoulders knees and toes“).

1. გაჭერით გვერდები ოთხად და შეკარით ოთხი დასტა.
2. აიღეთ სათაურის გვერდი და წარმოთქვით სურათებზე გამოსახული თითოეული სხეულის ნაწილი.
3. აიღეთ პირველი გვერდი, "თავი" და განათავსეთ იგი სათაურის გვერდის ქვეშ.
4. განაგრძეთ გვერდების აწყობა სხეულის შემდეგი ნაწილის დასტის ბოლოში განთავსებით.
5. დაასრულეთ წიგნის აწყობა და დაამატეთ ბოლოში გვერდი, სადაც წერია „დასასრული“.
6. დაასტეპლერეთ წიგნი და შემდეგ იმღერეთ სიმღერა.

მოსალოდნელი შედეგები

- მიჰყვება თანდებულიანი ფრაზის შემცველ მითითებებს: უკან.
- უერთდება სიტყვებს და ასრულებს მოქმედებებს სიმღერაში.

ძირითადი სტრატეგიები

ისაუბრე, ისაუბრე, ისაუბრე: წიგნის წყობისას ისაუბრეთ, იმღერეთ სიმღერა, შეჩერდით შემდეგ სიტყვაზე და უთხარით ბავშვს, რომ იპოვნოს იგი და განათავსოს ბოლოს უკან.

მუსიკა, მუსიკა, მუსიკა: ეს სიმღერა ბავშვს საშუალებას აძლევს გამოავლინონ სიმღერის სიტყვების გააზრების უნარი. მას შემდეგ, რაც ერთხელ იმღერეთ სიმღერა, გადადეთ სიმღერების წიგნი გვერდზე და კვლავ იმღერეთ სიმღერა. უკარნახეთ ბავშვს სიტყვები და მოქმედებები.

მოსალოდნელი შედეგები

- მღერის ყველა სიტყვას სიმღერიდან.
- იყენებს მრავლობით რიცხვს; მაგალითად: თვალები, მუხლები.
- იყენებს კავშირს: და.

ძირითადი სტრატეგიები

აუდიტორული უკუკავშირის ციკლი: მიეცით ბავშვს სიმღერის ტექსტის კოპირების საშუალება. იმღერეთ ოთხი გვერდი და გაკეთეთ პაუზა, რომ ბავშვმა იმღეროს და შეადაროს თავიანთი ჟღერადობა თქვენსას.

აკუსტიკური აქცენტირება:გააგრძელეთ მრავლობითი რიცხვის მარკერი ბგერის სიმაღლის შენარჩუნებით, რათა გაუადვილოთ ბავშვს მრავლობითი რიცხვის მოსმენა და ყურადღების მიქცევა:მხრები, მუხლები, ფეხის თითები, თვალები, ყურები.

მოსალოდნელი შედეგები

- იყენებს ზმნიზედებს: სიხარულით/გაბრაზებით.
- შეუძლია ამოიცნოს გაბრაზებული და გახარებული ხმა.

ძირითადი სტრატეგია

გავრცობა და განგრძობა: გააფართოვეთ აქტივობა სიმღერის გამეორებით გაბრაზებული ხმით, შემდეგ კი გახარებული ან დაღლილი ხმით. იმსჯელეთ რატომ შეიძლება ჟღერდეს ხმა გაბრაზებულად, გახარებულად ან დაღლილად. რიგრიგობით იმღერეთ სიმღერა სხვადასხვა ხმით და ნახეთ, შეუძლიათ თუ არა სხვებს გამოიცნონ რას გრძნობს ადამიანი.

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები





თავი

1

და მხრები,

2

მუხლი

3

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

და ფეხის თითები,

4

მუხლი

5

და ფეხის თითები,

6



თავი

7

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

და მხრები,

8

მუხლი

9

და ფეხის თითები.

10

მუხლი

11

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

და ფეხის თითები.

12

და თვალები

13

და ყურები

14



და პირი

15

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები



და ცხვირი,
16



თავი
17

და მხრები,
18

მუხლი
19

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED EL

4. თავი და მხრები, მუხლები და ფეხის თითები

და ფეხის თითები.

20

მუხლი

21

და ფეხის თითები.

22

დასასრული

23

© საავტორო უფლების მფლობელი MED-EL 2020

MED-EL ოფისები მსოფლიოს მასშტაბით

ამერიკა

არგენტინა
medel@medel.com.ar

კანადა
officecanada@medel.com

კოლუმბია
office-colombia@medel.com

მექსიკა
office-mexico@medel.com

აშშ
implants@medelus.com

აზია - წყნარი ოკეანის რეგიონი

ავსტრალია
office@medel.com.au

ჩინეთი
office@medel.net.cn

ჰონგ კონგი
office@hk.medel.com

ინდოეთი
implants@medel.in

ინდონეზია
office@id.medel.com

იაპონია
office-japan@medel.com

მალაიზია
office@my.medel.com

ფილიპინები
office@ph.medel.com

სინგაპური
office@sg.medel.com

სამხრეთ კორეა
office@kr.medel.com

ტაილანდი
office@th.medel.com

ვიეტნამი
office@vn.medel.com

ევროპა, ახლო აღმოსავლეთი და აფრიკა

ავსტრია
office@at.medel.com

ბელგია
office@be.medel.com

ფინეთი
office@fi.medel.com

საფრანგეთი
office@fr.medel.com

გერმანია
office@medel.de

იტალია
ufficio.italia@medel.com

პორტუგალია
office@pt.medel.com

ესპანეთი
office@es.medel.com

სამხრეთ აფრიკა
customerserviceZA@medel.com

არაბეთის გაერთიანებული ემირატები
office@ae.medel.com

გაერთიანებული სამეფო
customerservices@medel.co.uk

M00366 1.0

MED-EL-ის სამედიცინო აღჭურვილობა
ფურსტენვეგ 77ა | 6020 ინსბრუკი, ავსტრია | office@medel.com

medel.com